F75
1926

სახელმწიფო გამომცემლობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1926 წ.

№ 3

# ნაკადული



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

გვერდი.

1. საზაფხულო სტუმარი სურათი . . . . . . 1
2. ენძელა—ლექსი—დ. თურდოსპირელისა . . . 2
3. პატარა ფისო—ს. ურუშაძისა. . . . . . 3
4. ბავში ყვავილი—ლექსი—ქ. პოლუმორდვინოვისა. 10
5. გაზაფხული—პიესა—ან. ახალშენიშვილი . . 12
6. პიონერს—ლექსი—ა. მაშაშვილისა . . . . 21
7. სოფლელი პიონერის წერილები—წერილ. პირ-
ველი—დავ. კარბელაშვილისა . . . . . 22
8. გაზაფხული—ლექსი—ლ. გეგეჭკორისა. . . 24
9. როგორ უნდა მოვაწყოთ ბოსტანი—თარგმანი
მ. არველაძესი . . . . . . . . . 25
10. მარბენალი თაგვი—თარგმანი რობიტაშვილისა. 29
11. აკროსტიხი—დ. ელიოზიშვილის . . . . 31
12. ამოცანა კვადრატებზე—ნ. მიმიგურისა . . .
13. მუსიკა . . . . . . . . . . . . 32

ეროვნული ბიბლიოთეკა




წ. მე-XXII №3 მარტი 1926 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქ. ა. ლ. კომკავშ. ცენტრ. კომიტ. ჟურნალი ბავშვებისათვის.

F 1980



გაზაფხულის სტუმარი

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი



# ენძელა

გაზაფხულის სიო ჰქრის,
თოვლი დნება ნელ-ნელა,
მტრედისფერი კაბითა
გვევლინება ენძელა.

— ვიშ, ქა!.. ვიშ, ქა!... დამთბარა!..
ამბობს ის აღტაცებით,
თან დილის მზის სხივებსა
ჰსვამს სათუთი თასებით.

— ახ, რა ბედნიერი ვარ,
რა კარგ დროს გადვიშალე;
გმადლობ, მზევ გაზაფხულის,
გმადლობ, შენ გენაცვალე!..

დ. თურდოსპირელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა




იყო ერთი პატარა, სულ პატარა ფისო. ჯერ მას მთვარე კიდევ არ ენახა.

ერთ საღამოს ის თავის დედასთან ერთად ეზოში თამაშობდა. უეცრად თვალი მოჰკრა ცაში გამოკიდებულ სავსე მთვარეს და გახარებულმა დედას შესძახა:

— დედი, დედი! რა დიდი ყველის ნაჭერი ჰკიდია სახლის ზევით, წავალ და ჩამოვიღებ.

— არა, შვილო, მაგ საქმეს თავი დაანებე და თაგვების დაჭერა ისწავლე.

— ე-ეჰ, თაგვების ჭერა შენთვის დამითმია, მე კი ის ყველის ნაჭერი მირჩევნია,— უპასუხა ფისომ და სახლის სახურავზე აირბინა მთვარის ჩამოსაღებად, მაგრამ, დახეთ უბედურებას, მთვარე მეტად მაღლა ეკიდა და ფისო მას ვეღარ მისწვდა.

მთელი ღამე სახლის თავზე იჯდა პატარა ფისო და მთვარეს უდარაჯებდა: იქნებ ჩამოვარდეს და დავიჭიროო. მაგრამ ამაოდ: მთვარე მიგორავდა ცის კამარაზე და მისი ჩამოვარდნა აზრადაც არ მოსვლია.

განთიადისას მთვარე ძირს დაეშვა და სადღაც ჩაიმალა. ფისოს ეგონა, რომ მთვარე ეზოს მახლობლად კორდზე ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდა. სახლის თავიდან სწრაფად გადმოხტა და კორდისკენ მოჰკურცხლა, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა პატარა ფისოს: მთვარის მსგავსი იქ ვერაფერი ნახა და ხელცარიელი დაბრუნდა შინ.



ამ ხნის განმავლობაში აღარც დედის მუმუ უჭამია და არაქათგამოლეულმა დედას შიმშილი შესჩივლა.

— აი, შე ბრიყვო — უთხრა დედამ: — ეს დღე დაიხსოვნე და აწ დედის დაიჯერე: თაგვების ჭერა უნდა ისწავლო, ჩვენი ხელობა ეს არის.

მაგრამ პატარა ფისო დედის დარიგებას ყურს არ უგდებდა. რაკი მთვარეს ვერ მისწვდა, ჩიტების დაჭერა გადასწყვიტა.

სახლის თავზე ბლომად იყო პატარა ჩიტები, ბეღურები. ისინი დროგამოშვებით შორს, სახლის მახლობლად, მიწაზე მოეფინებოდენ და თავისი ბარტყებისათვის საკენკს აგროვებდენ. როდესაც კატა, ან ადამიანი წამოეფეთებოდათ, ჩიტები შეიფრთქიალებდენ და სახლის თავზე აფრინდებოდენ. ამიტომ ფისო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც სახლის თავზე დადარაჯება ირჩია, რომ ანაზდეულად მოფრენილ ჩიტს იქ დახვედროდა და დაეჭირა.

იგი ფრთხილად აიპარა სახლის თავზე, თავი მოიმძინარა და ჩიტებს ლოდინი დაუწყო.



ჩიტებმაც დიდხანს აღარ ალოდინეს. მალე ბეღურების მთელი გროვა მოფრინდა და ფისოს მახლობლად დასხდა. ფისომ ისკუპა და ერთი მათგანის კლანჭით დაჭერა მოინდომა, მაგრამ ჩიტებმა შეიფრთქიალეს და გაასწრეს, ხოლო ფისოს ნახტომი შეეშალა: ის სახურავის კიდეს გადასცილდა და ძირს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოვარდა. სახლი კარგა მაღალი იყო და ფისოსაც პატარა ფეხები საშინლად ეტკინა.

დედა ისევ მივიდა ფისოსთან, ფეხებს ულოკავდა, ეალერსებოდა და თან ასწავლიდა, რომ თავი დაენებებინა ჩიტების დევნისათვის და თაგვების ჭერა ესწავლა. მაგრამ ფისოს არ უნდოდა ეს საქმე და დედის სიტყვებს ყურს არ უგდებდა.

მალე ფეხების ტკივილმა გაუარა და ფისო ისევ სანადიროდ გამოვიდა. ჩიტების დაჭერაზე უკვე გულგატეხილი იყო. უნდა სხვა რამე ეღონა.

ეზოში ერთი მონადირე ძაღლი ჰყავდათ. ის ყოველდღე სანადიროდ მიჰყავდა პატრონს და საღამოზე კურდღლებით, ქედნებით და სხვა ნანადირევით დატვირთული ბრუნდებოდა. დაბრუნებისას პატრონი ძაღლს მოუალერსებდა, მოეფერებოდა და რბილი ხორცის რამოდენიმე კარგ ნაჭერს მისცემდა საჭმელად. ძაღლიც გაამპარტავნებული იყო ასეთი მოპყრობით, თავისი გონიერი თვალებით გადაუხდიდა მადლობას პატრონს და გემრიელი ლუკმის ჭამას შეუდგებოდა.

პატარა ფისომ გადასწყვიტა, სწორედ ამ ძაღლის რბილი ხორცის გემრიელი ნაჭერი მოეტაცნა. ამ განზრახვით ის ახლოს მიიპარა, ერთ მოზრდილ ნაჭერს პირი დაავლო და მოჰკურცხლა. მაგრამ, დახეთ უბედურებას: ძაღლი უკან გამოუდგა ბრაზმორეული ყეფით და თუკი დაეწეოდა, უსათუოდ სულს გააფრთხობინებდა. პატარა ფისო გარბოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ძაღლი მწევარი იყო და უსათუოდ დაეწეოდა. ფისომ ხორცის ნაჭერს პირი გაუშვა, იმაზე უკვე აღარ ფიქრობდა, ოღონდ თავი გადაერჩინა, მაგრამ ძაღლი მაინც არ ეშვებოდა. ცუდად იყო ფისოს საქმე, მაგრამ მის ბედზე ეზოში დიდი ხე იდგა. ფისო ამ ხეს მივარდა და ზედ აირბინა.



ფისო გადაურჩა ძაღლის კბილებს, მაგრამ ძირს მაინც ვერ ჩამოდიოდა: ძაღლი დაჯდა ხის ძირში, უყეფდა ფისოს და ძირიდან სასტიკად ემუქრებოდა.

მთელი ღამე ხეზე გაატარა საწყალმა ფისომ, ხოლო დილით, როცა ძაღლი სანადიროდ წავიდა, გაბედა ხიდან ჩამოსვლა და თავისი გასაჭირი ისევ დედას შესჩივლა.

დედამ მოუალერსა, გაათბო, მუმუ აჭამა და თან კვლავ განუმეორა, რომ ასეთი საქმისთვის თავი დაენებებია და თაგვების ჭერა ესწავლა.

მაგრამ პატარა ფისო არ სცხრებოდა. ცოტა გამოჯობინდა თუ არა, ისევ სანადიროდ გამოვიდა. მან გადასწყვიტა, რომ ისევ კრუხისათვის წაერთმია წიწილა. წიწილა ადვილი დასაჭერიც იყო და, მისი აზრით, არც კრუხი იყო საშიშარი, თუ ბრძოლას აუტეხდა.

ამ განძრახვით მან სანაგვისაკენ გასწია, იქ კრუხი იყო თავისი წიწილებით და ნაგავს ჩქექდა. ფისომ ისკუპა და ერთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წიწილა კლანჭებით დაიჭირა, მაგრამ ვაი ამ დაჭერას! კრუხი იმავე წამს ახტა და ფისოს დაეძგერა. ფისომ დააპირა გაქცევა,



მაგრამ ამაოდ. კრუხი ზურგზე დაასკუპდა, ბრჭყალები მაგრად მოუჭირა, ხოლო ნისკარტით თვალების ჩიჩქნა და თავში კენა დაუწყო.

ცუდ მდგომარეობაში იყო პატარა ფისო. მან დიდი ხანია წიწილა გაათავისუფლა, მაგრამ კრუხი ისევ ზურგზე აჯდა და თავში ნისკარტს სცემდა. უშველად სიკვდილი მოელოდა პატარა ფისოს, მაგრამ მის ბედზე იქვე ახლო დედა-კატა ყოფილიყო. მან შენიშნა თავისი შვილი ასეთ მდგომარეობაში, გაქანა, კრუხი განდევნა და ცოცხალმკვდარი ფისო სიკვდილს გადაარჩინა.

გაჰყვა დედას პატარა ფისო ნაცემი, თავგასისხლიანებული და ამის შემდეგ კარგახანს ავადაც იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ისევ უვლიდა, ეფერებოდა, ჭროლობას ულოცავდა და თან ურჩევდა, რომ ასეთი რამეებისთვის თავი დაენებებია და თაგვების დაჭერა ესწავლა.



დაიჯერა ახლა პატარა ფისომ დედის რჩევა. მოჯობინდა თუ არა, დაიწყო თაგვებზე ნადირობა და კარგი კატაც დადგა.

ს. ურუშაძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ბავში—ყვავილი.

ალერსით სავსემ და საყვარელმა
ერთხელ ამბავი მიამბო დედამ,
თუმცა მას შემდეგ განვლო ბევრ წელმა,
მე მაინც დღესაც არ მავიწყდება...
ეს იყო ერთი ბავშის ცხოვრება,
როს ნებივრობდა დედის ჩვევნაში
და ჭეჭელებთან სიამოვნებას
გრძნობდა დღე-მუდამ მათსა დევნაში;—
და იგი ბავში ცისფერ კაბაში
იყო ისეთი წარმტაც სინაზის,
რომ ყვავილებში თვით ყვავილობდა,
ვით მზის ღიმილი რიჟრაჟ დილაზე...
მაგრამ დატანჯა მამის სიკვდილმა,
როცა შიმშილი მისჩერებოდა,
მასზე სიმწარემ გადაირბინა
და საცოდავი უხმოდ ჭკნებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მაგონდება იგი ამბავი
და დედაჩემი, ახლა რომ არ მყავს,
მაგრამ ყოველთვის დაუკარგავი
ხსოვნა მეირფასი ახლაც თან დამაქვს...
მან გააღვიძა ჩემში სურვილი
ნათელ მომავლის გასხივოსნების,
გული დამინთო წინსვლის წყურვილით
და, მწამს, ცოდნითაც შევიმოსები..
ფხიზლად მოვდივარ, ყველას ვახარებ
საგაზაფხულო გახალისებით,
ხალხის სიყვარულს გულში ვატარებ
და ხალხისათვის გადავიმღები...
ჰა, შემომხედეთ, რა კოჭწია ვარ
ლამაზ ქოჩორით, გადავარცხნილით,
მე ჩემს წარბებზე ლამეს ვამინებ
და თვალებში ხომ ცა მაქვს გახსნილი..
ჰა, შემომხედეთ, მეც ყვავილი ვარ
და ყვავილებშიც მიყვარს თამაში,
შრომის შვილი ვარ და, დედას ვფიცავ,
მშრომელთ ქვეყანას არ გავცვლი სხვაში..

ე. პოლუმორდვინოვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გაზაფხული

ორმოქმედებიანი საბავშო პიესა

### მოქმედი პირნი:

1. გაზაფხული.
2. ენძელა.
3. კოჩხილა.
4. ფამფარა (ბალახი).
5. თეროს ყვავილი.
6. ია.
7. ყვითელი ზიზილა.
8. ვანო.
9. თინა.
10. თამრიკო.
11. ელიკო.
12. ილა.
13. თედო.
14. მიხა.
15. გივი.
16. ოფოფი.
17. ნაკადული.
18. ჭია-მაია.
19. ფუტკარი.
20. აბრეშუმის-ჭია.
21. წითელი პეპელა
22. ყვითელი პეპელა.
23. ლურჯი პეპელა.
24. შავი პეპელა.
25. შავი ფრინველი.
26. ექსკურსანტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I მოქმედების I გამოსვლაში ბავშვებს ყვავილების და ბალახების ტანისამოსი აცვიათ, ფერადი ქაღალდისაგან შეკერილი.

მე-II გამოსვლაში და მე-II-ე მოქმედებაში ბავშვები თავიანთ ჩვეულებრივ ტანისამოსში გამოდიან.

ჭია-მაია, ფუტკარი, აბრეშუმის-ჭია, პეპლები და შავი ფრინველი ფერადი ქაღალდის ტანსაცმელში გამოდიან.

## I მოქმედება.

### სურათი I.

სცენა წარმოადგენს მინდორს, შორს მოსჩანს ტყე და მთის წვერები, ჯერ კიდევ თოვლით შემოსილი. მინდორზე სხვადასხვა ბალახები და ყვავილებია ამოსული: ენძელა, ია, ყვითელი ზიზილა, კოჩხილა, ფამფარა, თეთრის ყვავილი. შესაფერი ტანისამოსით თავიანთ ბუდნაში სხედან.

**გაზაფხული.** (შემოირბენს სცენაზე, ცეკვავს, მერე ლამაზი მიხვრა-მოხვრით ყველა ყვავილებს და ბალახებს დაცქერდება, ხელების ქნევით აღვიძებს მათ, შემდეგ შემოტრიალდება, წინ წამოვა სცენისაკენ და მაღლა და მკაფიოდ იტყვის):

მზემ ზამთარი მოგვაშორა,
ალალანდა მინდორ-ველი,
და ზღვებისკენ მიდის ხევით
ზამთრის თეთრი სამოსელი.
კვლავ იღვიძებს ნაზი ია (უჩვენებს ხელით)
ყინულის ქვეშ დამარხული,
და მერცხალიც დაგვჭიკჭიკებს:
„გაზაფხული, გაზაფხული“. (ცქრიალით გავა).

(ყვავილები შეინძრევიან და ნელ-ნელა იღვიძებენ).

**ენძელა.** უჰ, ძლივს არ ამოველი ამ ჯურღმულიდან!.. (ამოჰყოფს თავს, აქეთ-იქით მიიხედავს, გაიზმორება, წამოდგება და ლექსს იტყვის)

როცა მზე შემოიმაღლებს,
მთვარე კი დაბლა ცურდება,
თოვლი და ყინვა ფერს ჰკარგავს
და დედამიწა ფუვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი გულის ფანცქალით
წამის-წამს მელოდიბიან,
რაკი გავჩნდები, ბალღები
ცას სიხარულით სწვდებიან.

„დედა არ მომიკვდებაო!..“
ხშირდება კვეხნა-ფიცილი:—
„უწინ მე გავიგონეო
ენძელას ტკბილი სიცილი!..“

აქ კინკლაობენ ბიჭები,
იქ—პაწა გოგო-ქალები;
და ყველას გაფაციცებით
ჩემსკენ უჭირავს თვალები.

მკრეფენ და მისახარებლად
ერთმანეთს ეცილებიან,
„ახლა კი გაზაფხულდაო!“
გაიძახიან,—სტკბებიან.

**ენძელა.** (შედგება. კიდევ მიიხედ-მოიხედავს, დაინახავს კობჩხილა ბალახს და გამოეხმაურება) ოჰ, შენც სინათლეზე ამოსულხარ?

**კობჩხილა ბალახი.** ჰო, გენაცვა! არ გვეყო სუსხიანი ზამთრის განმავლობაში სიბნელეში ყოფნა? . აგერ ფამფარაც ამოსულა. (ორივენი მარცხნივ გაიხედავენ და ფამფარას მიესალმებიან.) გამარჯობა, ფამფარავ, შენც ამოხვედი?

**ფამფარა.** გაგიმარჯოსთ! ვენაცვალე ცხოველ მზეს, მაშ იმ ჯურღმულში რაღა დამაყენებდა?! როგორც კი სითბო ვიგრძენ, თავი ამოვყავ.

**თეროს ყვავილი.** (შორიდან გამოეხმაურება) უჰ, რა საშინელი ზამთარი იყო! ძლივს გადავურჩი სიკვდილს. სულ ფესვები მეყინებოდა!

**ია.** შენ ჩემზე მაგარი ხარ და ეკრე ამბობ, მაშ მე რაღა უნდა ვთქვა პატარა, სუსტმა იამ!

**ყვითელი ზიზილა.** (გამოელაპარაკება) დებო და ძმებო, რაც იყო, იყო. წარსულს რაღას იგონებთ! მოდით ჯერ ვიმღეროთ და მერე ვიცეკვოთ და მადლობა გადავუხადოთ ბრწყინვალე მზეს.

**ყველანი.** (წამოდგებიან, ტანისამოსს ისწორებენ და მღერიან):

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყვავილი ვარ პატარა,
ვზივარ ბუჩქის ძირასა,
ყველას საყვარელი ვარ,
მეძახიან იასა.
ხან ხელით მატარებენ,
ხან გულზე მაქვს ბინაო,
ერთხელ ბროლის ჭიქაში
ტკბილად ჩამეძინაო!
გაზაფხულო, გაზაფხულო,
რა კარგი ხარ, რა კარგი!
ყვავილებით მორთული,
მზის სხივებით ნაქარგი!
მოხვალ—თან მოგყვებიან
გაზაფხულის ჩიტები,
ბულბულები, მერცხლები,
შაშვები და გვრიტები!

(სიმღერას რომ გაათავებენ, ცეკვავენ. მუსიკა უკრავს. ცეკვის შემდეგ ბუდნებში ჩასხდებიან. სცენაზე ცოტა ხანს სიჩუმეა).

იგინივე და ბავშვები.

(ბავშვები სიმღერით შემოდიან სცენაზე, მღერიან).

გაზაფხულის ბრწყინვალე მზემ
მთა-ბარს გული გაუშალა,
ახმატკბილდენ ჩიტუნები,
სასიცოცხლო იგრძნეს ძალა.
ტყე აყვავდა, შეიფოთლა,
აზურმუხტდა მინდორ-ველი,
ბუნება მთლად გაიფურჩქნა,
ადგილს უთმობს ახალს ძველი.

**ბავშვები.** (დაინახავენ ყვავილებს, ბალახებს და შეჰყვირებენ.) ენძელა, კოჩჩხილა, თერო, ია, ზიზილა...

**ვანო.** დილილმე! ახლა კი ვეტყვი დიდედაჩემს, რომ კოფჩხილას წნილი ჩასდოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თინა.** (მივარდება ენძელას, უნდა მოგლიჯოს, მაგრამ შეეცოდება, მიალერსე-ბა და ეტყვის) შენ გენაცვალე, შენ როგორ მოგწყვეტ! ახლა კი გავიგე, რომ გაზაფხული დადგა.

**თამრიკო.** აი იაც, რა ლამაზია! (გაიწვდის ხელს, უნდა მოწყვიტოს.)

**ია.** (წამოდგება, სტუმელს გაისწორებს და ეტყვის ბავშს)

ნუ შემახებ პაწაწა ხელს,
ნუ, ნუ მეთქი, ჩემო კარგო!
ის არა სჯობს, გავიზარდო
და ბაღნარი დაგიმშვენო?
ჯერ შენსავით პატარა ვარ,
გამახარებს შენი ცქერა,
ახლოს დაჯექ, გამაგონე
მხიარული შენი მღერა.

(ია ისევ თავის ბუდნაში ჩაჯდება.)

**თამრიკო, თინა, ელიკო.** (ოდნავ დაიხრებიან და იას უმღერენ).

თვალჟუჟუნა კოხტა ქალო,
იავ, გენა ცვლები!
სად არიან სხვა ყვავილნი,
შენი მეგობრები.

**ია.** (მღერით უპასუხებს.)

მოვლენ, მოვლენ, გენაცვლებით,
მოვლენ მალე სხვებიც,
მახარობლად გამოგვგზავნეს
მე და ენძელები.

**ელიკო.** (მიუბრუნდება თამროს და ეტყვის) არ მოსწყვიტო, ცოდოა! გახსოვს, მასწავლებელმა რომ გვითხრა: გაზაფხულის მახარობელნი ენძელა, ია, წეროები და ნაკადულიაო.

**ილა.** მე წუხელი წეროების ხმა გავიგონე, ცაში გამწკრივებულიყვნენ და ყვიროდენ.

**თედო.** მაშ მამაჩემი ახლა კი გუთანს გამოიტანს მინდორში მიწის მოსახნავად, მეც თან გავყვები და უყურე თეროს ჭამას!

**მიხა.** მაშა, მაშა! მერე რა ტკბილია ი ვერანა!

**ყველანი.** (ფამფარა ბალახს მიადგებიან, გაკვირვებით დასცქერიან, ფოთლებს უშინჯავენ, მაგრამ ვერ გაუგიათ, რა არის. ერთად ყველანი) ნეტა რა უნდა იყოს? რა ჰქვიან!?

**გივი.** ამხანაგებო, ფოთლები მოვწყვიტოთ, მასწავლებელს წავუღოთ, ვაჩვენოთ, იმას ეცოდინება და გვასწავლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თინა.** აბა, კარგად დავიხსომოთ ეს ადგილი. მასწავლებელი რომ ექსკურსიაზე წამოგვიყვანს, ვაჩვენოთ.

**ოფოფი.** (ბავშებს თითოეულს ხმა შემოესმით) ოფ-ოფ!.. ოფ-ოფ!..

**ყველანი.** ბიჭოს, ოფოფი იძახის! ოფოფი. (იქით გაიქცევიან, საიდანაც ხმა ესმით და მიაძახებენ) გვიჯობნია! გვიჯობნია! (თითოეული ერთი ბუჩქიდან მეორეზე გადაფრინდება, ბავშები მისდევენ, თითოეული მიიმალება. სირბილის დროს ნაკადულს წააწყდებიან)

**ნაკადული.** შხუ... შხუ... (ისმის შხუილი)

**ბავშები.** (შემოესმისთ ნაკადულის ხმა, იქით გაიქცევიან. დაინახავენ ნაკადულს, ყველანი შეჩერდებიან და მწყობრად იტყვიან ლექსს):

ზურმუხტოვან მინდორ-ველზე
მოჩუხჩუხებს ნაკადული.
ცის და ქვეყნის სახე მოსჩანს
იმის გულში ჩასახული.

ნარნარ ტალღებს ერთმანეთთან
გაუმართავს საუბარი,
და მათ ტიტინს ალერსიანს
ტკბილად ისმენს მთა და ბარი.

მირბის, მიხტის ნაკადული,
ხარობს, მღერის საამურად,
ცა მას თავის ჩანგად ხმარობს,
და ბუნება—სალამურად.

**გივი.** (ამ ლექსის შემდეგ ეტყვის ყველას). აბა, ერთი სიმღერაც დავძახოთ და შინისაკენ წავიდეთ. (ყველანი მღერიან და წყნარად გადიან. ფარდა ნელ-ნელა ეშვება)

(ყველანი მღერიან)

რა კარგია ჩვენი სკოლა,
რა კარგია სწავლა;
დიდ მადლობას გადავუხდით,
ვინც რომ შეგვასწავლა!
რა კარგია წერა-კითხვა,
რა კარგია გარჯა!
დიდ მადლობას გადავუხდით,
ვინც რომ შეგვასწავლა!

**ფ ა რ დ ა.**

საქ. სახელმწ. ... საჯარო ბიბლიოთეკა ★ თბილისი

F 1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II მოქმედება.

სცენა წარმოადგენს ტყეს. დგანან ხეები, ლურჯად და მწვანედ აყვავებული ბუჩქები და ყვავილები. სცენაზე დაცოცავს ჭია-მაია, ფუტკარი დაბზუის, ხან ერთ ყვავილთან მიფრინდება, ხან მეორესთან ნექტარის ამოსაღებად. შემოდიან ბავშები კალათებით ხელში, სოკოს მოსაკრეფად.

იგინივე და თინა, ელო, გივი.

**ელო.** უჰ, რა კარგია ტყეში, რა გრილა!

**თინა.** (დაინახავს ჭია-მაიას და შეჰყვირებს) უი, ბიდაშა, რა ლამაზია! (თან შეეკითხება ჭია-მაიას) შენ რას აკეთებ აქა?

**ჭია-მაია.** მე... ხეებს ჰიებს ვაცლი (ყველანი დააცქერდებიან. ჭია-მაია გაცოცდება და მერე გაფრინდება.)

**ყველანი.** უი, გაფრინდა!

**ფუტკარი.** (გივისკენ გამოფრინდება და ყურში ჩაბზუის) ბზზ... ბზზ...

**გივი.** (დაიყვირებს) ფუტკარი, ფუტკარი, ფუტკარი! ამხანაგებო, მოეცალენით, არ გვიკბინოს! (ცოტათი მოშორდება და მიაძახებს) რას დაბზუი, ფუტკარო!

**ფუტკარი.** ტკბილ თაფლს გიმზადებ (გაფრინდება. ბავშები ცოტა ხანს კიდევ ტრიალებენ).

**თინა.** მართლა, სოკოები! სოკოები რომ დაგვავიწყდა?—მოვკრიფოთ!

**ელო.** დაიცადეთ. ჯერ დავისვენოთ (დასხდებიან, კალათებს გვერდით მოიწყობენ) და მერე მოვკრიფოთ სოკოები. გინდათ შხამა-სოკოს ამბავი გიამბოთ?

**ყველანი.** გვიამბე, გვიამბე...

**ელო.** სოკოები ტყეში იზრდებიან. მათ ჰქვიან: ქამა-სოკო, მგლის-სოკო, კაკლის-სოკო, შხამა-სოკო და კიდევ ბევრი სხვანაირია. შხამა-სოკო ისეთი ლამაზია, ისეთი, რომ რა! თავი ალისფერი აქვს (უჩვენებს), ზედ თეთრი წინწკლები აყრია, ღეროც თეთრი აქვს. ერთხელ ჩვენებიანთ ნატა ტყეში წავიდა სოკოს მოსაკრეფად. შხამა-სოკო დაინახა, ძალიან მოეწონა. მოწყვიტა და სიხარულით დედას მიურბენინა:

— აი, დედა, რა ლამაზი სოკოა! ჩადე ქვაბში, მოხარშე, ნახე, რა გემრიელი იქნება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედას შეეშინდა და ჰკითხა:

— ხომ არ შეჭამე შვილო, ეგ შხამიანია და მოიწამლებოდი.

ნატამ უპასუხა:

— არა, დედა, არა.

— ეს სოკო მარტო ბუზების დასახოცად არის, — უთხრა დედამ.

მერე დედამ სოკოს წყალი დაასხა, ზედ შაქარი დააყარა და უთხრა ნატას: აბა, ყური ვუგდოთ, რა მოუვათ ბუზებს.

მოფრინდა ერთი ბუზი, ამოსწუწნა წვენი და მოკვდა, მოფრინდა მეორე ბუზი, ამოსწუწნა წვენი და მოკვდა. მოფრინდა მესამე ბუზი, ამოსწუწნა — მოკვდა.

— ხედავ, ბუზები როგორ დახოცა! ადამიანიც ეგრე მოკვდება, თუ ამ სოკოსა სჭამს. დაიხსომე, შვილო, და არასდროს აღარ მოჭკრიფო, — უთხრა დედამ ნატას.

**თინა.** (შეწუხებული) მე რომ არ ვიცნობ?

**გივი.** (შეშინებული, დაღონებული) არც მე ვიცნობ.

**ელო.** ნუ გეშინიათ, მე გასწავლით. უჩემოდ არ მოკრიფოთ. აბა, წავიდეთ. (ყველანი ადგებიან, კალათებს აიღებენ და სოკოს მოსაკრეფად მიდიან. სცენა ცარიელდება. მუსიკა უკრავს).

იგინივე და ოთხი პეპელა.

(სცენაზე შემოფრინდება ოთხი პეპელა: წითელი, ყვითელი, ლურჯი და შავი. ცეკვავენ.

პეპლები რომ ცეკვავენ, შავი ფრინველი შემოფრინდება. პეპლებს შეეშინდებათ, გაიფანტებიან: წითელი პეპელა წითელყვავილიან ბუჩქს ამოეფარება, ყვითელი — ყვითელს, ლურჯი — ლურჯს. დარჩება შავი პეპელა. სიმწარით ცეკვავს და ოთხკუთხივ ეძებს მოსაფარებელ ადგილს, ვერ იპოვნის, შუა სცენაზე გაჩერდება ლამაზი პოზით და სტირის).

იგინივე და გივი.

**გივი.** (შემოირბენს სცენაზე, დაინახავს მტირალა პეპელას და შეეკითხება) რა გატირებს, შავო პეპელა?

**შავი პეპელა.** აგერ, ხედავ იმ შავ ფრინველს! მეშინია, არ შემჭამოს.

**გივი.** მერე, რატომ არ დაიმალები?...

**შავი პეპელა.** შავი ყვავილი ვერ ვიპოვე.

**გივი.** განა არ იცი, რომ ამ ტყეში შავი ყვავილი აღარ არის?!. დამაცადე, მე გიჩვენებ მაგის სეირს. (შორიდან სიმღერის ხმა მოისმის. პატარა ხანს ხეს მიეფარა შავი ჭუჭელა).

**გივი.** (სიმღერის ხმა ახლოვდება. გივი ხელს იფარებს შუბლზე და აქეთ-იქით იცქირება. შორიდან მომავალ მოწაფეთა ექსკურსიას დაინახავს და გასძახის) ჩქარა, ჩქარა მოდით, მტერს შევებრძოლოთ.

### იგინივე და ექსკურსანტები.

(ექსკურსანტები სცენაზე ჟივილ-ხივილით შემოცვივიან წითელი ბაირაღით. შავი ფრინველი დაფრთხება, გაფრინდება)

(ექსკურსანტები დაეწყობიან და სიმღერით გადიან).

მღერიან პირველ მაისს.

როდესაც ბავშები გავლენ გამოდიან ცეკვა-თამაშით გაზაფხული და სხვადასხვა ყვავილები მწერები, ყაყაჩო და ვარდი. სცენაზე მოხდენილად დადგებიან, ყველანი. მინდორში წრეს გააკეთებენ.

**ენძელა.** ამხანაგებო, რა მშვენიერი დღეა, დღეს ყველა ხარობს, დღესასწაულობს, მოდი ჩვენც ვიდღესასწაულოთ, ვილხინოთ და ვიცეკვავოთ!...

ყველანი სხვადასხვა პოზით დგანან. ყაყაჩო და ვარდი ცეკვავენ... მუსიკა უკრავს. ფარდა ნელ-ნელა ეშვება.

ყვავილები და ბალახები თავთავიანთ ტანისამოსში არიან გამოწყობილნი.

**ან. ახალშენიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პიონერს

,,აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები",
პატარა პიონერო,
კარში ნუ გავარდები.

შენ მომავალი გქვიან,
გული გაქვს ნაზი, რბილი,
ფიქრები პეპლებია
და რბიან პეპლებივით.

დაბრუნდი, სწავლის დროა,
თამაშს ნუ გადაჰყვები,
მთის გაღმა უდაბნოა
და შემდეგ ქვები, ქვები.

ამდენ ხანს პეპლებს დასდევ,
ხარბია ეს დღე თბილი,
დაბრუნდი, დაამზადე
ხვალისთვის გაკვეთილი.

გაგივლის შენც ბავშობა,
გაგივლის ბევრი წელი,
დარჩება თამაშობა
და შენ კი—უსწავლელი.

,,აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები",
პატარავ, საყვარელო,
პეპლებს ნუ გადაჰყვები.

ა. მაშაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სოფლელი პიონერის წერილები

## წერილი, პირველი

ქალაქში, დიტოს.

ძმაო დიტო!

იმ დღეს რომ ნახშირი ჩამოვიტანეთ ქალაქში მე და მამაჩემმა და შენ რომ გნახე და ვილაპარაკეთ, ის ლაპარაკი არ დამვიწყებია. მაგრამ, გეტყობა, შენ კი დამივიწყე, რადგან დამპირდი, თქვენ სოფელში ამოვალთო და დანაპირები არ შეასრულე.

ამოველ თუ არა სახლში, იმ წამსვე შენი ამბავი ჩვენს კატოს ვუამბე და ისე გაუხარდა, ისე, რომ...

კატო სკოლაში დადის, დიდი გოგოა, ახლა მეხუთე წელიწადია სწავლობს და იქ, სკოლაში, მასწავლებელსაც უთქვამს და თვითონაც წაუკითხნია წიგნში პიონერების ამბავი.

ჰო-და, კატოს გაუხარდა, მე უეჭველად ჩავეწერები პიონერადაო და ასე მოვილაპარაკეთ, რომ ამ ორ დღეში უნდა შევეყაროთ ჩვენებიანთ გოგო-ბიჭები, ეს ამბავი იმათაც გავაგებინოთ და პიონერების ერთი კაი პარტია შევაყენოთ, მაგრამ, იცი, დიტო, ჩვენი კატო ერთი ახირებული რამ არის, სიტყვას ვერ ვიტყვი, რომ დავიდარაბა არ ამიტეხოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხელსაც მეჩხუბა, შენ რა იცი, პიონერს როგორ უნდა ეცვასო. ეს სულ სხვანაირად ამბობს, ჭკუაში არ მოსდის და... მე ხომ ვნახე მაინც, ქალაქში, როგორ ეცვათ პიონერებს,—ამტყუნა, პიონერ გოგოებს თეთრი ხილაბანდები უნდა ეკრათ თავზე და ბიჭების ხელებისა და ფეხების დაუკლერწა ვინ გაიგონაო, შარვალიც გრძელი უნდა ეცვათ და ხალათიც გძელსახელოებიანიო.

არა, დიტო, მაინც ხომ იმ დღეს ეგრე ეცვათ: გოგოებს წითელი ხილაბანდები ეკრათ თავზე და ბიჭებს კიდე მოკლე შარვლები და მოკლესახელოებიანი ხალათები?

ეგრე არ იყო?

მოდი და ამას ელაპარაკე.

იცი, დიტო, მე სკოლაში ვეღარ ვივლი, რადგანაც მამაჩემმა ახლა საკუთარი სანახშირე ჩადგა, სულ იქ არი, კიტო სკოლაში დადის და, აბა, ჩვენ თხებს ვილა მოუვლის? მე დამიდის ჩვენ სერებზე და ახლა აღარ ვიცი, რა ვქნა.

აი, ახლაც, ამ წერილს რომ გწერ, ძალიან მეძინება და დილაზეც ალიონზე უნდა ავდგე თხების გასარეკად.

რომ იცოდე, დიტო, როგორი ციკნები მყავს, ჰეი, იცითები, რომ... ლამაზები.

ჰო-და, დიტო, შენი ჭირიმე, რომ დამპირდი, არ დამივიწყო; მე ქალაქში, აბა, როგორ-და ჩამოვალ ამ თხების გადამკიდე და ისევ შენ ამოდი აქ ამხანაგებით. ან თუ არა და, წერილი მაინც მომწერე დაწვრილებით, ტანისამოსზეც და პიონერებზეც. შენ ნასწავლი ხარ და ეს ყველაფერი გეცოდინება.

ამ წერილს ძლივსა ვწერ, კიტო მშველის და მეორე უფრო კარგად მოგწერ.

ისეთი კოშკები მაქვს, დიტო, შენთვის შენახული, რომა, სუ ყვითლები, დიდრონები.

გწერს შენი ძმა გიგლა.

წერილი დიდომში მომწერე.

დავ. კარბელაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გაზაფხული

შვილები:—დედილო, დედი, აბა გვითხარი,
სად გაიპარა ახლა ზამთარი?
დედა:—მზის შეეშინდა, მთაზე ავიდა
და მთიდან კიდე სულ შორს წავიდა!
შვილები:—ასე კაშკაშა მზიანი დარი
საიდან გაჩნდა, გვითხარ, რად არი!
დედა:—ეს მიტომ, შვილნო, რომ გაზაფხული,
ფრთალაღი, ცქვიტი და ლარდასხმული,
მოვიდა, ზეცა გააკრიალა
და მზეს შემატა სითბო და ძალა!
შვილები:—მაშ, აწ სიცივე, ყინვა და თოვლი
გაჰქრა, წავიდა, აღარ იქნება?
დედა:—დიახ, შვილებო, ზამთარი მოკვდა,
ასეთი არის ბუნების ნება!
შვილები:—(მღერიან) მაშ, გაუმარჯოს ახალ გაზაფხულს,
ხვნას, თესვას, შრომას, გლეხების ღიღინს,
მერცხლების ჭიკჭიკს, ფრინველთ ჟრიამულს,
და ველ-მინდორზე ჯეჯილის ბიბინს!

ლადო გეგეჭკორი.

# როგორ უნდა მოვაწყოთ ბოსტანი?

ზაფხულში მინდვრებზე ყმაწვილები მიწის პატარა ნაჭერზე ბოსტნის გაშენებას დაიწყებენ. ბოსტნის მუშაობა და მოწყობა მეტად საინტერესოა მცენარეთა ზრდის და ცხოვრების დასაკვირვებლად. უვარგისი თესლის დათესვა შრომის ტყვილა დახარჯვას წარმოადგენს. ამიტომ თესლი მანამდე უნდა ამოვარჩიოთ, სანამ თესვას შეუდგებოდეთ.



ადგილის ამორჩევა. საუკეთესო ადგილი ბოსტნისათვის ისეთი ადგილია, რომელსაც ყოველი მხრივ მზე უდგება და აწვდის სხივებს: დაჩრდილული ადგილი ბოსტნეულობისათვის უვარგისია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ წყალი ბოსტანს ახლო ჩაუდიოდეს. შემდეგ მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბოსტნის შემოღობვა. საიდანაც ჰქრის ცივი ქარი, უნდა დავრგოთ მაღალი მცენარეები, როგორიც არის სიმინდი: ის დაიცავს ბოსტნეულობას სიცივისაგან და აქ შემოეჩვევიან ფრინველები, რომლებიც დაიცავენ ბოსტნეულს სხვადასხვა ჭია-მატლებისაგან. ამოვირჩევთ თუ არა ადგილს, მიწა უნდა გავასწოროთ და ამასთანავე უნდა გავწმინდოთ ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტანი ყოველგვარი ბალახებისგან. ბოსტნეულობისათვის მავნე ბალახი ძირ-ფესვიან უნდა ამოვგლიჯოთ.

**ნიადაგის დამუშავება.** როცა მავნე ბალახებისაგან გავათავისუფლებთ ნიადაგს, შემდეგ საჭიროა მისი კარგად დამუშავება. ამისათვის მიწას ხნავენ, ან ბარავენ. ყველაზე უმჯობესია მიწის გადაბრუნება. როდესაც ასე დამუშავებულია მიწა, შემდეგ მას ანოყიერებენ სასუქით.

საუკეთესო სასუქს წარმოადგენს ცხენის პატივი. კარგს სასუქს წარმოადგენს აგრეთვე ტორფი, ნაცარი, ხის ფოთლები და ქათმის განავალი.

დამუშავების შემდეგ უნდა დავყოთ ბოსტანი კვლებად და თვითოეულ კვალში უნდა ჩავრგოთ ისეთი მცენარე, რომელიც მიწის ამა თუ იმ ნაჭერზე ხარობს, მაგალითად, კომბოსტოს უნდა შევურჩიოთ დაბალი ადგილი, ნესტიანი, ასეთივე ადგილზე უნდა მოვათავსოთ კიტრი, რომელიც თხოულობს ხშირად მორწყვას. ნესტიანი ადგილი უყვარს აგრეთვე სალათას და სტაფილოს.

**კვლების მოწყობა.** კვლებს აკეთებენ, ჩვეულებრივ, სიგანით ერთ მეტრს. მისი სიმაღლე დამოკიდებულია ადგილის სინესტეზე. ნოტიო ადგილებში უფრო მაღლად უნდა გაკეთდეს, ხოლო მაღლობ ადგილებში კვლებს აკეთებენ უფრო დაბალს. გარდა ამისა, კვლის სიმაღლე დამოკიდებულია თვით მცენარეებზედაც: გრძელძირიანი მცენარეები თხოულობენ მაღალ კვლებს, მაშინ, როდესაც ზოგიერთ მცენარეებს კვლები სრულიად არ ესაჭიროება, მაგალითად: კომბოსტოს, პომიდორს. გავაკეთებთ რა კვლებს, შემდეგ საჭიროა მიწის გასწორება ფოცხით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსტნის დასამუშავებლად საჭიროა იარაღები: ბარი, თოხი, ფოცხი და სარწყავი. ბოსტნის ჩრდილოეთის ნაწილში ჰრგავენ მაღალი ტანის მცენარეებს და სამხრეთ ნაწილში კი



დაბალი ტანისას იმ მიზნით, რომ მაღალმა მცენარეებმა არ დაჩრდილოს დაბალი მცენარე. ბოსტნეულობის გარდა, საინტერესოა დავრგოთ მარცვლოვანი მცენარეულობა, როგორიც არის შვრია, ქერი და სხვა, და აგრეთვე მაფხლართული მცენარეები, როგორიც არის სელი და კანაფი. შემდეგ სამკურნალო მცენარეები (პიტნა, ლენცოფა და აბზინდა). გარდა ამისა, დეკორაციული მიზნებისათვის საჭიროა დავრგოთ აგრეთვე სიმინდი, გოგრა და ყვავილები. ბოსტნის მოწყობის დროს უნდა გვახსოვდეს კიდევ ერთი რამე, სახელდობ ის, რომ კვლები იქნეს მწყობრად გაყვანილი, მწყობრადვე იქნეს მაზედ მორგული ბოსტნეულობა, რაც ბოსტნის მოწყობილობას მეტად ამშვენებს და სასიამოვნო სანახავად ხდის. უნდა დაითესოს საღამოს თბილ დღეებში. მიწა უნდა იყოს ცოტათი სველი და თუ მშრალია გვალვის გამო, უნდა მოვრწყოთ. სქლად დათესვა არაა სასურველი; თესლს შუა უნდა იყოს გამოტოვებული განსაზღვრული მანძილი. თესვის დროს კვლების გაწვრივ აბამენ ბაწარს სწორი ხაზის მიმართულებით და იმისდა მიხედვით ფლავენ თესლს. დათესილ კვლებში სდებენ ჯოხებს წარწერით: რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის დათესილი და რა დროს. ზოგიერთ თესლს, როგორც არის, მაგალითად: კიტრის, გოგრის, ლობიოსი და სხვა, რომელსაც დათესავენ, ალბობენ 3—4 დღით, სანამდის ყლორტებს



გამოიღებდეს. წვრილთესლიან მცენარეებს დათესვის დროს აურევენ სილაში და ისე თესვენ. დათესვის შემდეგ კვლებს რწყავენ სარწყავით. ამასთანავე უნდა თვალყური ვადევნოთ, რომ რწყვის დროს წყალმა მიწა არ ჩარეცხოს და თესლი არ გამოჩნდეს. ვისაც სარწყავი არ აქვს, მას შემდეგნაირად შეუძლია მოიქცეს: აიღოს თუნუქის კოლოფი, კოლოფის ძირს გაუკეთოს ნახვრეტები წვრილი ლურსმნით, კოლოფს გაუკეთოს ხელი და სარწყავი უკვე მზად იქნება.

მ. არველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარბენალი თაგვი.

აიღეთ მუყაოს ყუთი, ააგლიჯეთ სახურავი და მის მაგიერ დააწებეთ ქაღალდის ნაჭერი. ქაღალდის ქვეშ უნდა დამაგრდეს ანდამატი ისე, რომ მას ტრიალი შეეძლოს. თქვენ თვითონაც შეიძლება მოიგონოთ ამისთვის შესაფერი ხელსაწყო, მე კი მაინც გირჩევთ თქვენ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ: გამოაცალეთ ყუთს ძირი და მიაწებეთ მას, ან მიაკარით პატარა ლურსმნებით სქელი ფიცარი, მაგრამ ისე, რომ ორი თითით ის დაშორებული იყოს ქაღალდზე. ეს ფიცარი გახვრიტეთ და ჩადეთ მასში ჯოხი; ჯოხის თავზე გააკეთეთ მუყაოს (კარტონის) წრე, წრეზე-კი ანდამატი მიაბით ძაფით. წრის ქვეშ დაახვიეთ ჯოხს კანაფი და მისი ბოლო გაატარეთ ყუთის გვერდის კედელში; ამ კანაფით დახურავთ თქვენს მექანიზმს. როდესაც თქვენ გასწევთ კანაფის თავისუფალ ბოლოს, ის გაშლას დაიწყებს, ჯოხი და მასთან ერთად წრეც დატრიალდება. საჭიროა ანდამატი ისე მოაწყოთ, რომ წრის ტრიალის დროს ის ქაღალდის ქვეშ ცურავდეს. მთელი მექანიზმი მზადაა. დარჩა გასაკეთებელი თაგვი და სახლი მისთვის.

სახლს თქვენ შეაწებებთ მუყაოსაგან, ან ძველი სათამაშო ქაღალდისაგან. მას უნდა გაუკეთდეს ორი კარი, იმ მანძილზე ერთმანეთისაგან, რომ მუყაოს წრის ტრიალის დროს ანდამატის ორივე პოლიუსი სწორედ ამ კარებზე გადიოდეს. რომ არ შეცდეთ, შეიძლება ჯერ დაინიშნოს ქაღალდზე ფანქრით გზა, რომელსაც გადიან ანდამატის პოლიუსები, და მერე გამოიჭრას სახლის კარები. თაგვს ნაცრისფერი მატყლისას გააკეთებთ. არა უშავს-რა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თუ ის მახინჯი გამოვა: სირბილს მაინც მოახერხებს. ქვეშ მიამაგრეთ თაგვს მავთულის ნაჭერი. სათამაშო მზადაა. დას-ვით თაგვი სახლის ერთ-ერთ კართან და ნელა მოატრიალეთ ანდამატი. ანდამატი გასწევს თაგვს თავისკენ, და თაგვი შე-




1. დასაყრდნობი ანდამატისთვის, ყუთის ძირზე მიწებებული.
2. იგივე—წრით (ანდამატისთვის) და კანაფით.
3. წრის და ანდამატის სახე ზემოდან (ანდამატი სამ ადგილას არის მიბმული წრესთან.
4. თაგვის სახლი·და ყუთის ზედა ნაწილი.

ვარდება სახლში, ან სახლიდან გამოვარდება და სანამ თქვენ ანდამატს ატრიალებთ, თაგვი ირბენს: ერთი კარით ის შედის სახლში, მეორე კარით გამოდის. წინად ამისთანა სათამაშოები ყველა მაღაზიებში იყიდებოდა, მაგრამ თქვენ თვითონაც გააკეთებთ ამისთანა სათამაშოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# აკროსტიხი

გაირღვა ლეგა ღრუბელი,
აღარც ნისლი ჩანს მთაზედა;
ზეცაში სცურავს ცხრათვალა,
ამაყად დაგვცქერს თავზედა,
ფრინველთ გუნდები გვეწვევიან
ხმატკბილი ჭრიამულითა,
უმღერენ ტურფა მიდამოს,
ლექსებს უძღვნიან გულითა!..
ილაა მეტად საამო,
აღვსილი სიხარულითა!..

დ. ელიოზიშვილი

## ამოცანა კვადრატებზე

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წ | კ | ე | მ | ა | ნ | ა | დ | ა | გ | ი | ი | ო | უ | რ | ლ | თ | ე |

მოცემულია 18 კვადრატი. გაჰყავით ორ ნაწილად: პირველ რიგში უნდა მოთავსდეს 10 კვადრატი, ქვევით —8 კვადრატი. ასე დაწყობილ კვადრატებში მოათავსეთ მოცემული ასოები ისე, რომ გამოვიდეს ორი სიტყვა, რომელიც ეხება ჩვენ ჟურნალს.

**ახსნა:** ნაკ. № 1 შარადა—22 იანვარი, რებუსი—ბავშებო, გახსოვდესთ ლენინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ვაშა გაზაფხულს"




მოქარგულა მინდორ-ველი,
შეხეთ, რა ნაზია!
მზის სხივებში გახვეული
ტურფა, ლამაზია!

მღერის ვარდი, მღერის ველი,
მღერის ბაღში ვაზი.
ლამაზია გაზაფხული,
ფრთაგაშლილი, ნაზი!

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარ-მართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემული წიგნების

# ს ი ა

1. ნორჩი-ძალა—კრებული . . . . . . . . . . . . . . . . 12 კაპ.
2. „ბელა-ბექეკა“ . . . . . . . . . . . . . . . . . . 10 „
3. „დედაბერი, ტურა და მელია კუდი-გძელია . . . . . . . 50 „
4. „ბავშებს“—ლექსები გ. ქუჩიშვილისა . . . . . . . . . 20 „
5. „ტყის ზღაპარი“—მამინ-სიბირიაკისა . . . . . . . . . 20 „
6. „ტყის სურათები“ შიო მღვიმელისა . . . . . . . . . . 25 „
7. „ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“ . . . . . . . . 80 „
8. ქართული მოძრავი თამაშობანი“ . . . . . . . . . . . 80 „
9. „იგავ-არაკები“ ალ. მირიანაშვილისა . . . . . . . . . 30 „
10. „ივანე სულელი“—ზღაპარი ლ. ტოლსტოისა . . . . . . 15 „
12. „მოძრავი თამაშობანი“ სიმღერებით—გოგლიჩიძისა . . . 1 მან.
13. „ოვიდიუსის მეტამორფოზები“—ალ. მიქაბერიძისა . . . . 70 კაპ.
14. „ზამთარი“—ფერადი სურათებით . . . . . . . . . . . 50 „
15. „უძველესი დროის ბავშის თავგადასავალი“ . . . . . . . 45 „
16. „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან . . . . . . 25 „
17. „გაზაფხული და ზაფხული“ . . . . . . . . . . . . . 90 „
18. „რას გვიამბობს ოთახი“ . . . . . . . . . . . . . . 20 „
19. „ზღვის სიმდიდრე“ . . . . . . . . . . . . . . . . 20 „
20. „პატარა იაპონელები“—ფერადი ყდით . . . . . . . . . 75 „
21. „სიზმრად და ცხადად“ . . . . . . . . . . . . . . . 30 „
22. „კოცონთან„—ჩვენი უფროსი ძმები, ახალგაზრდა კომკავშირელები . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10 „
23. „ლენინის საათი სკოლაში„ . . . . . . . . . . . . . 50 „
24. „ტაიგის საუნჯენი“ . . . . . . . . . . . . . . . . 40 „
25. „კომბლე“ ფერად სურათებიანი წიგნი . . . . . . . . . 65 „
26. პიონერი სოფლად . . . . . . . . . . . . . . . . . 25 „
27. საბავშო ბაღი—ფერადი სურათებით . . . . . . . . . . 1 მან.
28. ნორჩ პიონერთა თანამგზავრი . . . . . . . . . . . . 20 კაპ.
29. მომღერლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . 15 „
30. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი—ჯიშკარიანისა . . 35 „
31. თინიკოს გამოცანები—ფერადი სურათებით . . . . . . . 45 „
32. საბავშო სახლის ცხოვრებათ . . . . . . . . . . . . . 70 „
33. „იყავ მზად“ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5 „
34. პატარა ჰოლანდიელები . . . . . . . . . . . . . . . 80 „

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1926 წ.

გ ა მ ო ვ ა

ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. **„ნაკადული“** მე-XXII წ.

მოზრდილ. **„წითელი სხივი“** წელ. მე-III.

**ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.**

გადაგზავნით:

- **„ნაკადული“**—ერთი წლით—3 მ. 50 კ.
  ნახევარი წლით—2 მან.
- **„წითელი სხივი“**—ერთი წლით—5 მან.
  ნახევარი წლით—3 მან.

ცალკე ნომერი:

- „ნაკადული“ 35 კაპ.
- „წითელი სხივი“ 45 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „წითელი სხივის“ რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი 26/IV—26. ს.ს.მ.უ.ს. პოლ-ტრ. 1-ლი სტამბა შეკ. № 5421/1038. მთავ. № 555 ტირ. 4000